სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას. შესასყიდი პროდუქციის მოთხოვნილი მინიმალური მახასიათებლები მოცემულია შემოთავაზების ფორმაში - დანართში №2;

ტენდერის პირობები

დანართში №2 მითითებული რაოდენობის შესყიდვას ბანკი განახორციელებს ეტაპობრივად 2024 წლის განმავლობაში, შემდეგი პირობების გათვალისიწნებით:

- შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა მოცემულია შემოთავაზების ფორმა - დანართში №2 .
- შესაძლებელია საორიენტაციო რაოდენობით გათვალისწინებულზე 30% მეტი ან ნაკლები ღირებულების საქონლის შესყიდვა.
- შერჩეული კომპანია ვალდებული იქნება დანართ N 2 მითითებული საკანცელარიო საქონლის დამატებითი მარაგების საჭიროების შემთხვევაში სილქ ბანკს ტენდერში დაფიქსირებულ ფასად მიჰყიდოს საორიენტაციო რაოდენობის 50%-მდე რაოდენობა.
- შეკვეთის მომენტში თუ შერჩეული მოდელის ფასი რითეილ მაღაზიაში უფრო დაბალ ფასად იქნება, კომპანია ვალდებულია პროდუქტის ფასი რითეილ ფასის ზღვრამდე ჩამოწიოს;
- შესაძლებელია კომპანიებმა წარმოადგინონ წინადადება დანართ N 2 არსებული ჩამონათვალზე დამატებით სხვა საკანცელარიო პროდუქტისა.
- პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება მხოლოდ ერთ ან/და რამდენიმე ბრენდზე ერთად;
- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დანართი №2 - შემოთავაზების ფორმის რედაქტირება, მაგალითად: სტრიქონის დამატება, თუ ერთსა და იმავე პროდუქტზე რამდენიმე შეთავაზება გექნებათ (მაგ.: სხვადასხვა ბრენდის/მოდელის საქონელი);
- მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2

აუცილებელი მოთხოვნები

- შემოთავაზების ფორმის დანართ №2-ში აუცილებლად მიუთითეთ შემოთავაზებული პროდუქციის ბრენდის დასახელება და დეტალური ტექნიკური მახასიათებლები;
- პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული პროდუქცია აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილში მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებს.
- ფასების მოწოდება ხდება დანართი №2 მეშვეობით
- წარმოდგენილი წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დასკანერებული სახით;

დამატებითი მოთხოვნები

- ფასების მოწოდება ხდება დანართი №2 მეშვეობით
- წარმოდგენილი წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დასკანერებული სახით;

- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯები საქართველოს მაშტაბით;

უპირატესობად ჩაითვლება თუ კომპანია საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემდეგ რეგიონალურ მისამართებზე: ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. N 13 ქ. ქუთაისი ზ. გამსახურდია ქ. N 23 .

ანგარიშსწორების პირობები

- ბანკი ყოველ ჯერზე ფილიალებისთვის (თბილისი, რეგიონი) განახორციელებს 1 თვის მარაგის შესყიდვას. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიტანიდან 5 სამუშაო დღეში.
- სილქ ბანკი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გააფორმებს გენერალურ ხელშეკრულებას სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასების უცვლელობის პირობით;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით
- მომწოდებელი ვალდებულია გახსნას ანგარიში სილქ ბანკში

გამარჯვებულის გამოვლენა

სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ფასი
- ხარისხი /ტექ.მახასიათებლები
- მოწოდების ვადები

მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

დანართი N1- ტენდერის სააპლიკაციო ფორმა

დანართი N2 – ხარჯთაღრიცხვა

კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით);

შემოთავაზებების მიღების წესი

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 28 დეკემბრის დილის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2

დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, გთხოვთ კითხვები მოიწეროთ

procurement@silkbank.ge, მისამართზე.

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი : შალვა ლეჟავა ტელ: 577362888

მადლობა დაინტერესებისათვის.გისურვებთ წარმატებას